ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლს, 2.6 პუნქტის და ამავე პუნქტის ქვეპუნქტების შემდეგ დაემატოს 2.7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "2.7 იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი წარმოადგენს თანხის მიმღები მომხმარებლის პროვაიდერს (მიმღები მომხმარებლის მომსახურე ბანკს) და მიმღები მომხმარებლის ანგარიშზე თანხის ასახვის ოპერაცია ექვემდებარება საკომისიოს გადახდას, ბანკი უფლებამოსილია, მიმღების ანგარიშზე არ ასახოს ბანკის, როგორც მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული სრული თანხა, მიმღების ანგარიშზე თანხის ასახვამდე დააკავოს საკომისიო და მომხმარებლის ანგარიშზე ასახოს თანხა, საკომისიოს გამოკლებით. წინამდებარე დათქმა წარმოადგენს ბანკსა და მომხმარებელს შორის გათვალისწინებულ შეთანხმებას საკომისიოს დაკავების უფლების შესახებ "საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე. დაკავებული საკომისიოს ოდენობის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებისთვის განსაზღვრულ, შეთანხმებულ ფორმას წარმოადგენს ბანკის მიერ, ბანკის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება. იმავდროულად, მომხმარებელი არ არის შეზღუდული დამატებით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დაკავებული საკომისიოს კონკრეტული ოდენობის შესახებ, ბანკისთვის მიმართვის გზით."

2. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ცვლილება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.